შაბათი, 1918 წ. აპრილის 14 (27) №81

შაბათი, 1918 წ. აპრილის 14 (27) № 81

წლიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

ხელნაწერთა მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უმისობით გამოგზავნილი მასალა უფასოთ იბეჭდება. დაუბეჭდავი ხელნაწერთა მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

კონტორა

ხელის მოწერის ფასი ... ერთი თვით—18 მანეთი ... 6 მ. და 50 კ. ... ყოველ № 30 კ. განცხადებების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საერთოდ ... მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხაზგასმული განცხადება თითოეული ზომით: 15×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი. მიხამძიმრის გამოცხადება ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფულები და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1 1/2 საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს.-მდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--7

## დღეს:

### ცნობები:

დაშნაკცაკანი მინისტრები, რომლებიც გუშინ წინ თანამდებობიდან გადადგნენ გუშინ ისევ შევიდნენ სამინისტროში.

რაჰიმ-ბეგ თოფჩიევი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას დედის

ნინო დიმიტრის ასულ თოფჩიევის

გარდაცვალებას.

მიცვალებულის გამოსვენება მელინსკის ქუჩით № 19, დილის 9 საათზე, წირვა და პანაშვიდი ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.

1—1584—1

ანასტასია დიმიტრის ასული ალექსი-მესხიშვილისა, ქეთევან დიმიტრის ასული კნ. აბაშიძისა შვილებითურთ, გიორგი, ნინო ერისთავისა, ელენე ტომსონისა და ბარბარე მაისურაძისა გულმწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უსაყვარლეს პირველთა დის, მეორეთა დედის

ნინო დიმიტრის ასულ თოფჩიევის

გარდაცვალებას. გამოსვენება მიცვალებულისა დილის 9 საათ. მელინსკის ქუჩა № 19, მოხდება 14 აპრილს, შაბათს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში.

1-1584 1

მამა დიმიტრი ზაქარიაძე, დედა ელისაბედ ივანეს ასული და ძმა ბორისი თავადი თუმანიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა

ნიკოლოზ დიმიტრის ძე თუმანიშვილი

დაკრძალვა მოხდება დღეს კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზედ. წირვა დაიწყება 10 ს. პანაშვიდი ანჩისხატის ეკლესიაში.

1—1581—1

ძმა ზაქარია დიმიტრის ძე, მეუღლე ნინო ივანეს ასული, შვილი მისი ვახტანგი თუმანიშვილები და და ეკატერინე დიმიტრის ასული მეუღლით, ალექსანდრე ბარისის ძე ჯუსოევები შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ თორმეტ ამ თვეს ტრაგიკულად მოჰკლეს

ნიკოლოზ დიმიტრის ძე თუმანიშვილი

გამოასვენებენ დღეს ანჩისხატის ეკლესიიდან წირვის შემდეგ, წირვა დაიწყება 10 საათზედ, დაკრძალვა მოხდება კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზედ.

1—1586—1

შაბათს, აპრილის 14 ს

დარია იესეზის ასულ

ჯაფარიძის

გარდაცვალების წლის თავზე ქაშვეთის ეკლესიაში გარდახდილი იქნება პანაშვიდი, ნაშუადღევზე, 1 საათისთვის, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ განსვენებულის ქალები და სიძე ზაქარია ნიკოლაძე და მაჩაბელი.

1-1585-1

მარიამ ალექსანდრეს ასული ციციშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ნახევარ წლის წირვასა და პანაშვიდს გარდაცვალებულ

ალექსანდრე რაჟდენის ძე

ციციშვილისა

ქალაქ გორში სიონის ეკლესიაში 14 აპრილს, დილის 10 საათზე.

1—1571—1

დამწუხრებულნი: შვილები—გრიგოლი და ბარბარე, ძმები—პეტრე და გიორგი, და—მარიამი—საყვარელ შვილისა და დის ექიმ

სოფიო მამრაძის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას აუწყებენ მეგობართ და ნათესავთ.

პანაშვიდი 2 საათზე. ვერის დაღმართი, სახლი № 5, ბინა № 5.

3—2

## ძირს მოღალატენი!

როდესაც „ნაროდნაია სვობოდას“ და „ზნამია ტრუდას“ წერილებს ვკითხულობთ, პირველი კითხვა, რომელიც კი გვებადება—არის: რას ჰფიქრობს ბ. შინაგან საქმეთა მინისტრი ამ საგანზე? მართლაც, არის ამიერ-კავკასია, სახელმწიფო, თუ „პიკ-ვიკების“ კლუბი, სადაც ყველას ისეთი აგიტაციის უფლება ეძლევა, როგორიც მოეპრიანება? სად, რომელ ქვეყანაში, რომელ სახელმწიფოში შეიძლება ასეთი აშკარა თავდასხმა სახელმწიფოზე, რომელი მთავრობა მისცემს უფლებას თავის ქვეშევრდომს და მით უმეტეს, არა ქვეშევრდომს პირში აფურთხონ მას, სილები აწნან, ძირი გამოუთხარონ და ისიც იმ დროს, როდესაც გარეშე მტერი მოსდგომია. „ნაროდნაია სვობოდა“ გვემუქრება ოსმალეთთან ომით, „ზნამია ტრუდა“ სეიმის გარეკვით, „პაიქარი“ მოღალატეს უძახის ჩხენკელს, ვიდრე მაწანწალები ქუჩაში ფურცლებს არიგებენ და ხალხს აშკარა აჯანყებისკენ იწვევენ—ჩვენს წინაშე მთელი შეთქმულება ჰხდება—მთავრობა კი სდუმს, თითქოს ამით იმის თქმა ჰსურდეს, რომ ის არც არსებობს.

სად მიგვიყვანს ასეთი მდგომარეობა, ან, უკეთ, სად მიგვიყვანა მათ, ვისაც ამგვარი ქვეყნის მზრუნველობა? შეგვფერება განა ასეთს წუთში, ისეთს გაზეთს, როგორიც არის „ერთობა“ იმ პოლემიკის წარმოება, რომელსაც აწარმოებს ის გაზეთი „ზნამია ტრუდასთან“! რას ნიშნავს „ერთობის“ სიტყვები ამ გაზეთის მიმართ: დაგვიმტკიცეთ, რომ სეიმი უკანონო მოვლენაა, და ჩვენ უარვყოფთ მას, ერთიც უნახოთ, მერე ხელისუფალნი უფრო მოხერხებულები გამოდგნენ არსენძეებზე და დიაპრეტაციეს ეს... მერე? მაშ ძირს სეიმი, ძირს მთავრობა, ძირს ჩხენკელი, გაუმარჯოს რუსეთს,—ნუ თუ ეს გნებავთ? განა ეს არის სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი, პატრიოტული მოვალეობა გაზეთისა?

სად არიან ამ განსაცდელის წუთს ჟორდანია, წერეთელი, გეგეჭკორი? ნუ თუ მათ არ ესმით, რა მდაბალ ინტრიგას წარმოადგენს მთელი ის ავაზაკური ისტორია, რომელსაც აწარმოებს „ზნამია ტრუდა“. ნუ თუ მათ არ იციან, რომ სწორედ მათი სახელებით სარგებლობენ ჩვენი მტრები და შეუგნებელ ხალხს არწმუნებენ, რომ ისინი არიან წინააღმდეგნი დამოუკიდებლობისა და არა რუსები. ისტორია იტყვის ოდესმე, რომ მათ ჩაიდინეს დანაშაულობა, როცა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა ცხადდებოდა და ისინი კი პირში წყალ-დაგუბებულნი ისხდნენ სეიმის ისტორიულ კრებაზე. მაგრამ ამ წუთს მათი დუმილი უარესი დანაშაულობაა. მათ უნდა აშკარად განაცხადონ, რომ არავის აქვს უფლება მათ სახელს ჩირქი მოსცხოს და მით უმეტეს „ზნამია ტრუდას“, „ნაროდნაია სვობოდას“ და „პაიქარის“ პროვოკატორულ შარლატანებს!

ძლიერ მთავრობასთან ერთად რომელსაც შიგ ძირშივე უნდა მოსპოს დღეს დემოკრატიის პასუხისმგებელი წრეები მოვალენი არიან პირველ რიგში იდგნენ და მოყვარესაც და მტერსაც აშკარად უჩვენონ ვინ არიან ისინი. და ის მდაბალი ინტრიგა, რომელიც მათის სახელის გარშემო სწარმოებს, უცბად შეწყდება. ეს არის მათი სახელმწიფო, მათი პატრიოტული მოვალეობა.

მაგრამ მარტო ეს არ გვიხსნის იმ საფრთხისგან, რომელსაც გვიმზადებენ ჩვენი მტრები. ძლიერი და მტკიცე მთავრობის საკითხი, უპირველესი საკითხია მომენტისა. რა კრიზისსაც არ უნდა განიცდიდეს ჩხენკელის სამინისტრო, ეს კიდევ შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიზისი არ არის. შეიძლება იცვლებოდნენ პირნი,—ეს ქრონიკული მოვლენაა ჩვენის დღეებისა,—მართვა-გამგეობის აპარატი მუდამ თავის ადგილზე და მტკიცე უნდა იყოს, ამიტომ შეურყეველი და სასტიკი ბრძოლა მთავრობისა სახელმწიფოს მტრებთან ყოველ კრიზისის გარეშე უნდა იდგეს. მთავრობამ კარგად იცის ვინ არიან სახელმწიფოს მტერნი. ისეთ გაზეთებს, როგორიც არიან „ზნამია ტრუდა“ და „ნაროდნაია სვობოდა“ მთავრობის ოფიციოზური ჟურნალისტები კი არ უნდა ეკამათებოდნენ, მათ უნდა ებრძოდეს კანონი და კანონის წარმომადგენელი „მოქალაქე მილიციონერი“. ჩვენ არ გვესმის არც ის სახელმწიფოებრივი გამჭრიახობა, არც ის მოქალაქეობრივი სულგრძელობა, რომლის გამო „ზნამია ტრუდა“ და „ნაროდნაია სვობოდა“ ისევ არსებობენ და ისევ განაგრძობენ ატმოსფერის მოწამვლას, ხალხის აჯანყებას და სახელმწიფოს ღალატს. ჩვენ მოვითხოვთ მთავრობის აქტიურად ჩარევას ამ საქმეში და აგრეთვე დამნაშავეთა სასტიკ სასჯელს, რომელსაც მხოლოდ ამ ერთს საშუალებას შეუძლიან აღკვეთოს საზოგადოების დამშვიდება და ამ აშკარა ღალატის ჩაქრობა.

## საზავო დელეგაციის მოხსენების გამო

ამიერ-კავკასიის საზავო დელეგაციის „აქილევსის ქუსლი“ იმაში მდგომარეობდა, როგორც ეს ჩვენ თავის დროზე გვქონდა აღნიშნული, რომ იგი იყო მეტად შეუფერებელი შემადგენლობისა დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის და იგზავნებოდა ისეთ „სახელმწიფოსაგან“, რომლის იურიდიული სტრუქტურა ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო იმ დროს. დიპლომატიურ მოლაპარაკებას აქვს, ასე ვსთქვათ, ელემენტური თვისება, ამიტომ შეუძლებელია წინდაწინვე პუნქტებით განისაზღვროს რწმუნებულთა კომპეტენცია, მით უმეტეს მაშინ, მათ შესასრულებლად დავალებანი კატეგორიული ხასიათისა, როგორც ეს ჩაიდინა სეიმმა 17 თებერვლის სხდომაზე, რომელზედაც შეიმუშავა ოსმალეთის დიპლომატებისათვის წარსადგენად ექვსი წოდებული ოთხპუნქტიანი ფორმულა.

გამოცდილი და დახელოვნებული, ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილი დიპლომატი რაუფ-ბეი ადვილად მიხვდა მოწინააღმდეგეს სისუსტეს და შეიძლება ცდაც არ დასჭირდა, რომ სასტიკად დაემარცხებინა მოუმზადებელი და ყოველ მხრივ შეუფერებელი ამიერ-კავკასიის სეიმის „დიპლომატიური“ დელეგაცია. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ იმ დროს, როდესაც ოსმალეთის დიპლომატია შეთანხმებული და წინადვე შემუშავებული გეგმით მოქმედებდა, ჩვენი დიპლომატიის მდგომარეობა ფრიად უწყო იყო ამ მხრივაც, რადგანაც დელეგაციის თავმჯდომარეს სრულებით არა ჰქონდა იმედი, რომ ესა თუ ის სადავო საკითხი არ გამოიწვევდა დელეგატთა შორის უთანხმოებას და გათიშვას...

დელეგაციის მოხსენების დაწვრილებით განხილვას აქ არ შევუდგებით,—ჩვენ შევჩერდებით მოხსენების მხოლოდ ზოგიერთ მნიშვნელოვან მხარეებზე, რომელსაც უფრო პოლიტიკური და სადღეისო მნიშვნელობა აქვს და პირველ ყოვლისა იმ ადგილზე, რომელიც ეხება ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივ მოწყობას. აქედა მხოლოდ ირკვევა ზოგიერთთათვის, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონებოდა ამიერ-კავკასიის სუვერენობის დროზე გამოცხადებას; სამწუხაროდ, მხოლოდ უკანასკნელ დღეებში ნათელი ჰყო, რომ სუვერენობის აღიარება შინაურულად და უბრალოდ კი არ ხდება, არამედ მან უნდა გაიაროს ერთგვარი საერთაშორისო პროცედურა ნოტიფიკაციის სახით და მხოლოდ ამის შემდეგ ახალი სახელმწიფო იძენს უფლებას მო-

ახლინის საერთაშორისო მნიშვნელობის აქტები. „ფაქტიური დამოუკიდებლობა" არავისთვის სავალდებულო ეფექტს არ ახდენს, ვინაიდგან ხშირად ამგვარ დამოუკიდებლობას აცხადებს რომელიმე აჯანყებული პროვინცია სახელმწიფოსი და ცდილობს აწარმოოს საკუთარი პოლიტიკური კურსი. ოსმალეთის მთავრობას ხომ ვერ გაუზიარებდით, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება ფერხდებოდა მმართველი წრეების ჩრდილოეთისკენ ღიმილით ცქერით, ან მიმავალ ეშელონების შიშით!? პირველივე შეკითხვა ოსმალეთის დიპლომატებისა ეხებოდა ამიერ-კავკასიის ფარგლებში ახლად მოწყობილ რესპუბლიკის შინაარსს, ფორმას, პოლიტიკურსა და ადმინისტრატიულ ორგანიზაციას, ე. ი., ოსმალეთი ოფიციალად გვეკითხებოდა: რას წარმოადგენს თქვენი სახელმწიფო? რომელი უფლებრივი ნორმებით არის იგი მოსილი?

ჩვენს დელეგაციას სწამდა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაზე უარის თქმა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ამიერ-კავკასიამ მასზე პროტესტი განაცხადა და „ფაქტიურად" უკვე წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს—საერთაშორისო სფეროში შესულს. იურისტი და მით უმეტეს დიპლომატი განზრახვებათა აღსარებით არა კმაყოფილდება,—იგი მოითხოვს დამამოწმებელ ფაქტს, საბუთს, და ეს სწორედ აკლდა ჩვენს დელეგაციას. ასეც რომ ყოფილიყო, განა ბრესტის ხელშეკრულებას ძალა ეკარგება? ოსმალეთს კარგად ახსოვს, რომ ბრესტ-ლიტოვსკში მიპატიჟება ამიერ-კავკასიის მმართველობამ უარ-ჰყო და ამით გასაგებად აღნიშნა, რომ ჩვენი მხარე რუსეთის განუყოფელი ნაწილია და, მაშასადამე, დავუმატებთ ჩვენ, ვალდებულია დაექვემდებაროს მის ყოველგვარ აქტებს. ჩვენ მხოლოდ შემდგომ მივხვდით, რა უბედურება მოგვაყენა „მფარველმა", მაგრამ დაგვიანებული, პროტესტი წამხდარ საქმეს ვეღარ გამოასწორებდა.

დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ ოსმალეთის დიპლომატია იძულებული შეიქმნა საერთაშორისო უფლების ანბანური ჭეშმარიტება გაეხსენებია ჩვენს დელეგაციისათვის და იურიდიულ მოსაზრებათა მიხედვით კატეგორიულად შემოეთვალა, რომ ბრესტის ხელშეკრულებაზე ამიერ-კავკასიის მთავრობა უარს ვერ იტყვის, რადგანაც პროტესტი ახლად შექმნილ სახელმწიფო ორგანიზმისა, რომელიც ჯერ-ხნობით სახელმწიფოთა რიცხვში არც-კი შესულა, მოკლებული იქნება სავალდებულო იურიდიულ ძალას.

იყო კიდევ მეორე მომენტი, სადაც ჩვენმა დელეგაციამ გამოიჩინა აგრეთვე სეიმისაგან ნაკარნახევი დიპლომატიური სისუსტე. როგორც მოგეხსენებათ, სეიმმა დელეგაცია დატვირთა საზავო კონფერენციაზე წარსადგენი ფორმულით, რომელიც შეიცავდა ცნობილ ოთხ პუნქტს. ამ ფორმულის უკანასკნელმა პუნქტმა სწორედ სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა ამიერ-კავკასიის დელეგაცია, რადგანაც მას ოსმალ დიპლომატების მიერ ნოტაციის მოსმენა მოუხდა იმის შესახებ, თუ რა უკადრისი საქციელია უცხო სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევა! ხსენებული მეოთხე პუნქტი მოითხოვდა ოსმალეთის იმპერიისაგან მის საზღვრებში მყოფ სომხეთის ავტონომიურად მოწყობას! აი, სადამდე აღწევს სოციალისტების უტოპია: კარზე მომდგარი ფოლადშეჭედილი მტერი გვცლის ტერიტორიის საუკეთესო ნაწილს, სასიკვდილო მახვილსა სცემს სახელმწიფოს სხეულს, ჰკვეთს და ანადგურებს მას და ჩვენ ამ დროს [illegible] ვურჩევთ მას თვითმართველობა მიანიჭოს სომხეთის ვილაიეთებს! ლოზუნგების გადმოსროლა და პარტიული პროგრამის მუხლობრივი გარჩევა-გამომზეურება დიახაც რომ ადვილი საქმეა, მაგრამ პოლიტიკოსნი და მმართველნი გადაღეჭილ პროგრამებით მუდამ ვერ ისაზრდოვებენ. კეთილი განზრახვანი რეალ ცხოვრებასთან შეგუებულნი უნდა იქმნენ, რომ გამოიძებნოს ცოტაოდენი საფუძველი მაინც მათი განხორციელებისათვის. სხვისი [illegible] და დახმარება განა შესაძლებელია მაშინ, როდესაც ჩვენ თავად განვიცდით უდიდეს გაჭირვებას? ამაზე არის ნათქვამი: „სხვათა მაზიარებელი მოკვდა უზიარებელი"!

ტრაპიზონის საზავო კონფერენცია პირველი გამოცდა იყო სოციალისტური მმართველობის სახელმწიფოებრივ შემოქმედებისა და უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ის სამარცხვინოდ ჩაიჭრა.

რ. ინგილო

# ომის პერსპექტივები და საქართველოს ორიენტაცია*)

პირველ წერილში აღვნიშნე: ბევრია იმის ნიშნები, რომ გერმანელები „ომის ბორბალს" მალე ჩვენსკენ მოატრიალებენ და საქართველო უდიდეს სახელმწიფოთა უსასტიკეს ომის უნებლიეთი მოწმე გახდება.

როგორი უნდა იყოს ჩვენი ორიენტაცია ასეთ პერსპექტივების წინაშე?

საერთოდ ორიენტაციის გარშემო დიდი დავა იყო ატეხილი. ზოგს თუ რუსეთის ორიენტაცია მიაჩნდა კულტურის და განათლების ორიენტაციად, ზოგი გერმანეთის ორიენტაციის აღიარების გამო სამშობლოს მოღალატის სახელს იმსახურებდა. ბოლოდროს ზოგიერთნი ამიერ-კავკასიის ორიენტაციასაც კი აღიარებდნენ. მართალია პირველებს დიდი ხანი არ დასჭირდათ იმის შესატყობად, რომ ის ორიენტაცია, რომელსაც ისინი აღიარებდნენ, იყო მხოლოდ რეაქციონური ორიენტაცია, მაგრამ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ ფედერატიულ რესპუბლიკის ყველა ეროვნებანი, ან უკეთ ვსთქვათ, მესვეურნი ვერ შეერიგებიან გერმანეთის ორიენტაციას.

ასე რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკისათვის არ არსებობს ერთი ორიენტაცია.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა ისეთ კონგლომერატს წარმოადგენს, რომელშიაც გამთიშველი ძალები სძლევენ შემაკავშირებელ ძალებს. ამიტომ ყოვლად შეუძლებელია ასეთ ძალებმა საბოლოოდ ერთი მიმართულება მიიღონ.

ამა თუ იმ ქვეყნის ორიენტაცია სრულებითაც არ არის დამოკიდებული კერძო პიროვნებათა, თუ გნებავთ ცნობილ მოღვაწეთა კეთილ სურვილებზე. ყველასათვის სრულს ჭეშმარიტებად უნდა იქმნას აღიარებული ის აზრი, რომ „ამა თუ იმ ქვეყნის ორიენტაცია მის გეოგრაფიულ მდებარეობის და მეზობლების მდგომარეობის ნაყოფია" (ნ. ნიკოლაძე) ოქრო-პირობა ერს სხვა ორიენტაციას ვერ მიაღებინებს. მის მიღებაში ვერაფერი საშუალება არჩევანიც, და თუ რომელიმე ერის მესვეურნი ამ ორ საშუალებით სარგებლობენ—იგი ერი დაღუპულია.

მაშ რა ჰმართებთ ერის მესვეურებს, რომ მათი სახელი მარად სასიამო და ტკბილ მოსაგონარი გახდეს?

საუკეთესოდ ცოდნა მის სამშობლოს გეოგრაფიულ მდებარეობის და მეზობლების მდგომარეობის. მაგრამ ესეც არ კმარა. ერის მესვეურებმა „ფხიზლად თვალი უნდა ადევნონ, თუ რა ხდება მათ სამშობლოს გარშემო, რა ძალები ვარჯიშობენ, რა ურთიერთ განწყობილებაში სდგებიან". (ნ. ნ.)

დიახ ამათ თუნდაც კეთილშობილ ადამიანთა სურვილები.

მათ სამშობლოს მაინც მახლობლად მოვარჯიშე ძლიერი ძალა მოსჭრის თვალს.

მაშ კიდევ რაში მდგომარეობს ერის ხელმძღვანელთა მძიმე მოვალეობა?

ძლიერ ძალის სისწორით ამოცნობაში და არა მის წინააღმდეგობაში.

ვნახოთ, რამდენად სწორე გზას დაადგნენ თავიდანვე ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის ამა თუ იმ ერის ხელმძღვანელნი.

შევეხოთ ჯერ მათ, ვისი ბედიც დღეს უფრო დამაფიქრებელია.

სომხებზე მოგახსენებთ.

მათი უბედურობის მიზეზი, უმთავრესად, ეს მათი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობაა. ამას ემატება ერის ხელმძღვანელთა დიდი სურვილები და მადა.

მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ ამისთვის არ კმარა თუნდაც წარსულ ბრწყინვალების გახსენება. არაფერს ნიშნავს აგრეთვე ის, თუ რას იტყვის ესა თუ ის პოეტი ანდა პოლიტიკოსი. არც „სამშობლოს ჭრილობებზე" ქვითინი წარმართავს საქმეს. ერის ხელმძღვანელებს უნდა სცოდნოდათ, რომ „სომხეთი თავის გეოგრაფიულ მდებარეობით არის ის გასაღები, რომელიც აბატონებს მის ხელთ ამღებს ანატოლიის ნახევარ კუნძულზე და მესოპოტამიის ველზე" (პოლ როლბახი).

მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ტყუილი იყო ის დიპლომატიური აღთქმანი პატარა ეროვნებათა შესახებ, რომლითაც ინგლისის ცბიერ პოლიტიკოსებმა ყურები გამოგვიჭედეს.

მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ინგლისისა და მისგან კისერ მოტეხილი რუსეთის დიპლომატები, თუ აღუთქვამდნენ ოსმალეთის სომხეთის ავტონომიას, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სრულიად ანადგურებდა ოსმალეთს და ამასთანავე დიდ ზიანს აყენებდა მათ მოწინააღმდეგე გერმანეთს.

მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ოსმალეთის პოლიტიკურ რუქიდან ამოშლას არას გზით არ შეურიგდებოდა გერმანეთი, რადგან სომხეთის ხელში ჩაგდება ეს არის ბატონობა „როგორც მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილზე, ისე მესოპოტამიაზე" (პ. რ.). ამ ბატონობის სურვილი კი არის ერთი ის მიზანთაგანი, რომლისთვისაც იბრძვიან დღეს ინგლის-გერმანეთი.

ასეთ პირობებში სომხის ერის ხელმძღვანელნი არ უნდა გაჰყოლოდნენ დიად სურვილებს. ადვილად არ უნდა წამოეგებოდნენ დიპლომატიურ ანკესზე. შეიძლება ის ვერ გაეთვალისწინებინათ, თუ რომელ კოალიციას ხვდებოდა გამარჯვება, მაგრამ ის კი უნდა სცოდნოდათ, რომ იმ იმედებს, რომელნიც მათ აღეძრათ, მათ ვერავინ შეუსრულებდა.

ზ. იორდანიშვილი.

*) იხილე „საქართველო" № 79.

# ამიერკავკასიის საზღვრების დაცვა

გაზეთი „ერთობა" სწერს: „საშიშროებას წარმოადგენს თავზე ხელაღებული ბოლშევიზმი აშკარა შავრაზმელებთან შეხმატკბილებული და გარედან მომდგარი მტერი. ეს ორი ძალა ერთნაირად აწვება ორი მხრიდან ჩვენს მხარეს და განადგურებას უქადის.

ორივე ძალა ერთბაშად მოდის, როგორც დამოუკიდებლობის, ისე თავისუფლების წინააღმდეგ. ამ რიგად ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის ჰხდება ბრძოლად თავისუფლებისათვის. პირველის დამხობა გამოიწვევს მეორის დასამარებას და ჩვენი ვალია ორივე დავიცვათ, ორივეს ვებრძოთ, აღვზარდოთ და გავამტკიცოთ და გავაძლიეროთ.

ეს განსაკუთრებით უნდა იკისროს ამიერ-კავკასიის ყველა ერთა დემოკრატიამ. თუ მან ეს მისია ვერ შეასრულა, თუ დემოკრატიამ ერთი მთლიანი ფრონტი ვერ შეჰკრა და შინაური ბრძოლით თავი დაიუძლურა, თავისუფლება დაიღუპება, და მის ნაცვლად რეაქციის ბატონობა აშკარა ფაქტი შეიქნება. ამით დავკარგავთ უკანასკნელ პოზიციებს თავისუფლებისა და რევოლიუციისას. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატია ამ საფრთხეს შეიგნებს და ჩვენ დამოუკიდებელ რესპუბლიკას საფუძველს გაუმაგრებს?

—

სახალხო საქმე სწერს:

ყოველ სახელმწიფოს თავისი საზღვრები აქვს და საზღვრებს კი დაცვა უნდა. ამიერკავკასიასაც, უეჭველია, თავისი საზღვრები ექნება. სადამდის მივა საზღვრები ჩრდილოეთში, ეს იმაზეა დამოკიდებული, შემოვლენ თუ არა კავკასიის მთიელები ჩვენს სახელმწიფოში. აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვრები კი, ალბათ, ისეთივე იქნება, რანაირიც ამიერკავკასიის ადმინისტრატიულ საზღვრებს შეადგენდა. ყოველ შემთხვევაში ერთის მხრით ბაქო და მეორეს მხრით სოხუმი ამიერკავკასიის სახელმწიფოს საზღვრებში შევლენ. მაგრამ პოლიტიკური მდგომარეობა ამ ადგილებში გართულებულია. ბაქოსა და სოხუმში ამ ჟამად გაბატონებული არიან ბოლშევიკები, რომლებიც, უეჭველია, ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს არა სცნობენ და სეიმის განკარგულებასაც არ დაემორჩილებიან. ასევე მოიქცევიან, ალბათ, სოხუმის ბოლშევიკებიც, რომლებიც, წინააღმდეგ სოხუმის ოლქის მცხოვრებთა უმრავლესობის სურვილისა, საბჭოების ბატონობას ამტკიცებენ. სოხუმის ოლქის მცხოვრებნი, როგორც ვიცით, აფხაზები არიან. აფხაზები ვერას გზით ვერ შეურიგდებიან საბჭოების ბატონობას და დღეს თუ გაჩუმებულნი არიან, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ წინააღმდეგობის გასაწევად ძალა არ შესწევთ. ასეთსავე მდგომარეობაშია ბაქო. ბაქოს ბოლშევიკები არავითარ ანგარიშს არ უწევენ მაჰმადიანთა იმ მასსის სულიერ განწყობილებას, რომელიც ბაქოს გარშემო მოსახლეობს. უმეტეს წილად ადგილობრივი მატროსებისა და გზად მიმავალ რუსი ეშელონების დახმარებით ბაქოს ბოლშევიკებმა სისხლის მორევში ჩაახრჩეს მაჰმადიანთა მასსა და ამნაირი ტერორის საშუალებით დროებით ჩააჩუმეს ბაქოს მაჰმადიანების მასსა. მაგრამ ამნაირ ბატონობას დროებითი ხასიათი აქვს და ექნება. აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის მაჰმადიანები ვერასგზით ვერ შეურიგდებიან ბაქოში ისეთი ძალა-უფლების განმტკიცებას, რომელიც მთელს მათს ეხლანდელს წარმოდგენასა და სულიერს განწყობილებას ეურჩება. ბაქოს ბოლშევიკების მოქმედება დღევანდელს პირობებში ნამდვილი ანტიმაჰმადიანური მოქმედებაა, რადგანაც არც მათი ლოზუნგები, არც მათი რუსული სახელმწიფოებრივი იდეა, არც მთელი მათი მოქმედება არ ეხუება ყველაფერს იმას, რისკენაც დღეს მიისწრაფიან ამიერ-კავკასიის მაჰმადიანები.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მდგომარეობა უკვე მწვავდება. ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ბაქოს ბოლშევიკები არ მოისურვებენ დამორჩილებას. მაგრამ ჩვენთვის ასევე ცხადია, რომ შეუძლებელია, ბაქო ამიერ-კავკასიის ფედერატიულ სახელმწიფოს საზღვრებში არ დარჩეს: აქედან კი მხოლოდ ერთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: ამიერ-კავკასიის მთავრობა იძულებული გახდება სულ მოკლე ხანში, ამიერ-კავკასიის საზღვრების გასამაგრებლად და დასაცავად მოახდინოს ლიკვიდაცია ბოლშევიკების ბატონობისა ერთის მხრით ბაქოში, ხოლო მეორეს მხრით სოხუმში.

# რუსული პრესა

სოც.-დ—ტიული გაზეთი „ბორბა" თავისებურად ახასიათებს მომენტს. იგი სწერს:

..."მეტად მღელვარე დროს შესდგა ა. ჩხენკელის კაბინეთი. მისი დანიშვნა ნიშნავს დემოკრატიის უფრო დაუძლურებას, ვიდრე გაძლიერებას... გეგეჭკორის კაბინეთიდან გასვლა და მის ნაცვლად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობაზე ხელი მომწერ ჩხენკელის აღმაღლება მომასწავებელია „მუსავატისა" და სხვა ნაციონალისტურ ელემენტების გამარჯვებისა. ჩხენკელის მხრით ასეთი ნაბიჯის გადადგმა სასოწარკვეთილების აქტი იყო, როდესაც ადამიანი იმედსა ჰკარგავს ბრძოლის მოგებაზე და უბრალო მსხვერპლის გაწირვით სცდილობს თუნდაც ფიზიკური არსებობის დაცვას.

მუსავატისთვის ბრესტ-ლიტოვის ხელშეკრულობის აღიარება ნიშნავს ოსმალელ იმპერიალისტთა პოლიტიკის სრულს გამარჯვებას. და აი, სწორედ ის არის სავალალო, რომ ახალს კაბინეთში რანაირად ცოტანი არ უნდა მოხვდნენ მათი წარმომადგენლები, მაინც კაბინეთი იგი ყურმოჭრილად უნდა ილებდეს მუსავატის მიცემულს ტონსა. დემოკრატიას ჰმართებს დიდი სიფრთხილე, რომ კაბინეთის მხრით მათმა კოლეგებმა ბოროტად არ მოიხმარონ დემოკრატიული ძალები თავიანთ რეაქციონურ მიზნების განსახორციელებლად. თუ ისტორიულ პირობათა გამო დემოკრატიის წარმომადგენელთ თანამშრომლობა უხდებათ თავიანთ კლასიურ მოწინააღმდეგეებთან ერთად, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ თავიანთი სახე დაჰკარგონ. ყოველს რეაქციონურს ცდას მათ სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ.

თქმა არ უნდა, ამისთანა ნგრევა-რღვევისა და აღრევის დროს მეტი იქნება ლაპარაკი ერთფეროვან [illegible] სოციალისტურ სამინისტროზე, ვინაიდან ეს იქნებოდა [illegible] სოციალიზმის სახელის გატეხა, მაგრამ ადვილად შესაძლებელია შესდგეს ერთფეროვანი ბურჟუაზიული მთავრობა, ეს იმ შემთხვევაში, თუ დემოკრატიის წარმომადგენლებმა ვერ შესძლეს სათანადო პასუხის გაცემა. მათ არ შეუძლიანთ იმ ფარდას ამოეფარნონ, რომლის იქითაც რეაქცია თავის ბნელს საქმეს აწარმოებს. მათ რჩებათ მხოლოდ ერთი გზა: დემოკრატია უნდა გავიდეს მთავრობიდან იმიტომ, რომ მის გარედ განაგრძოს ის ბრძოლა, რაც შეუძლებელი იყო მისთვის მთავრობის სფეროში ეწარმოებინა.

* *

გაზ. „ვოზროჟდენიე" ეხება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას და რუს ელემენტთა შავრაზმულ მიწოდებას და, სხვათა შორის, სწერს:

„კავკასიის ერები, რა თქმა უნდა, ამოირჩევენ იმას, რაც უფრო ხელსაყრელი იქნება მათთვის, ვინაიდან არც ერთი ხალხი მოვალე არ არის უარი სთქვას არსებობაზე და ნებაყოფლობით მსხვერპლად შეეწიროს იმპერიალისტთა სულისკვეთებას. პოლიტიკამ არ უწყის სანტიმენტალობა და ხალხიც იქით ესწრაფვის, საითაც მეტს თავისუფლებას ჰხედავს. და თუ რუსის წარმომადგენლები თავისუფლების ნაცვლად იმუქრებიან ბოლშევიკთა ხიშტით და გვაძალებენ მომავალში ხმლის წვერით დაპყრობაზე, ეს მხოლოდ გაგვაფრთხილებს და მოგვამზადებს მომავალ შესაძლო ომის შესახვედრად.

ჩვენ ვიცით, რომ ბრძოლაში მარტოდ არ დავრჩებით. მუქარა ჩვენს დამოუკიდებლობის გამოისად, რასაც სისინით შეგვესმნენ რუსთა ზოგიერთ პარტიიდან, გვაიძულებენ მოკავშირის ძებნას, რომ ბრძოლაში მარტო არ დავრჩეთ. თქმა არ უნდა, ჩვენი მოკავშირენი ისინი იქნებიან, ვისთვისაც უფრო ხელსაყრელია ჩვენი დამოუკიდებლობა. მებრძოლი რუსი ნაციონალისტები, რანაირ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ, თავიანთ მუქარით ხელს გვაწოდინებენ ენვერ-ფაშასა და ვილჰელმისაკენ. და თუ ჩვენ იქნობამდის ვიცოცხლეთ, როდესაც ოსმალთა და გერმანელთა ჯარები ჩვენთან ერთად გამოვლენ აქ შემოჭრილ მტრებთან საბრძოლველად, ვინც ჩვენს თავისუფლებას მუქარის მუშტს მოუღერებენ, მაშინ მთელი ბრალი ედებათ მათ, ვინც ეხლა სცდილობენ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის მოსპობასა და ვინც ჩრდილოეთიდან მოუწოდებენ ჯარებს ამიერ-კავკასიის ხელახლა დასაპყრობად".

# სომხური პრესა

სოციალ - დემოკრატ მენშევიკების ორგანო „ფაიქარი" (სომხურ ენაზე № 17) თავის მოწინავე წერილში სათაურით: „არ ძალგვიძს დავეჩუმდეთ", ენერგიულად ილაშქრებს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

გაზეთი ამბობს: „9 აპრილის სეიმის სხდომაზე ნამდვილი ვაკხანალია იყო; ის გვაგონებდა განსვენებულ რეჟიმის სახელმწიფო სათათბიროს რეაქციონურ სხდომებს. ამ დღეს ჩვენ ვიხილეთ დემოკრატია მუსავატის ფერხთა ქვეშ განრთხმული. მუსავატი ბრძანებლობს, მუსავატი თავის ნებას და პოლიტიკას ჰკარნახობს. შეუძლებელი იყო დემოკრატიის ესოდენ დაცემის მოლოდინი. თითქმის ერთხმად იქმნა აღიარებული ამიერ-კავკასიის განცალკევება რუსეთიდან და მისი დამოუკიდებლად გამოცხადება.

ჩხენკელის, მის თანამზრახველთა და მუსავატელთა წყალობით მთავრობა შეირყა; ახალ კაბინეთის შედგენა ერთხმად დიდის ოვაციებით მიენდო ჩხენკელს, ადამიანს, რომელიც მხარს უჭერდა ამ გზას და უფრო შორსაც წავიდოდა, სანამ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის გმირები, ადამიანს, რომელიც წინაღუდგა ამიერ-კავკასიის დემოკრატიის ნება-სურვილს, სეიმის და მთავრობის გადაწყვეტილებას, რომელიც უნდა მიკრული იქმნას სასირცხვო ბოძზე და გაძევებულ იქმნას პარტიიდან. ჩხენკელი—ეს ჰნიშნავს „ოსმალე-

და გერმანეთის ორიენტაციას", ჩხენკელი—ეს ჰნიშნავს „მუსავატის გამარჯვებას". ორი-სამი დღის წინედ მუსავატელები გავიდენ გეგეჭკორის მთავრობიდან; ამბობენ რომ ისინი უბრუნდებიან ჩხენკელის კაბინეთს და რადომამაც არ დაბრუნდებიან, როცა ჩხენკელის მეოხებით ზეიმობს მათი პოლიტიკა. ჩვენი პარტიული სვინდისი და მოვალეობა ნებას არ გვაძლევს ამ დროს დავდუმდეთ. ჩვენ დიდი პატივით ვეპყრობით ჩვენი ქვეყნის ახალ საკანონმდებლო დაწესებულებას—სეიმს, მაგრამ არ ძალგვიძს დავჩუმდეთ, როდესაც ის ანტი-დემოკრატიულ ნაბიჯებს გადადგამს. კრიტიკის და განქიქების დრო არაა, როცა წარბის გასასწორებლად თვალსა ჰსთხრიან. თუ ამ სიტყვებისთვის მძიმე უბედურობა დაგვატყდა თავს, ჩვენ მზად ვართ მივიღოთ იგი, მაგრამ არასდროს არ დავიდუმებთ ენას, როდესაც ამას ითხოვენ პარტიის და დემოკრატიის ინტერესები".

# ზღვის გარეშე

### ამერიკა და ბრესტის ზავი

„დ. ნ." იუწყება, რომ შეერთებულ შტატების მთავრობა არ სცნობს ბრესტის ზავს, რომელიც გერმანეთმა ძალით მოახვია რუსეთს.

# რუსეთი

### პეტროგრადის მდგომარეობა

დამადონებელ სურათს წარმოადგენს პეტროგრადი. ძველ დიდ-მდიდარ სამეფეო ქალაქიდან მხოლოდ მოგონება და რჩება. ნევის და მორსკაიას პროსპექტები პროვინციალ ქალაქთა ქუჩებს არ ჩამოუვარდება: სამსეა ნაგვით, ორმოებით და სხვ. თავპირჩამოტირებული ხალხი შლეგიანივით დადის. ინტელიგენცია სულ არა ჰსჩანს, თითქოს არც ყოფილა ოდესმე. კულტურულ ცხოვრების ნასახიც კი ჩამქრალია. მთელ ქალაქში არავითარი წიგნი არ იშოვება წასაკითხად. ადგილობრივ თეატრებს ხალხი თუმცა არ აკლდება მაგრამ კულტურულ როლს ველარ ასრულებენ და ბრბოს გასართობად ითვლება. უფრო დიდი მრევლი ჰყავს კინემატოგრაფებს. გაზეთებიდან გამოდიან: „დელო ნაროდა", „ვოლია ნაროდა", „ნაშ ვეკ" („რეჩი") მრავალი სალამოს გაზეთები. ყვითელი პრესა („ბირჟევკას" მეთაურობით) ჯერ მტკიცედ არის. ზემოთქმული გაზეთები უგანცხადებოდ, გამოდიან. განცხადებისთვის, გაზეთის ნაცვლად დაწესდა სხვა და სხვა კომისიონური კანტორები. სად. 9 საათზე ქალაქში სრული მოძრაობა ჰსწყდება: ჩერდება ტრამვაი, იხურება თეატრები, კაფე, კინემატოგრაფი და სხ. პეტროგრადიდან გასვლა სასტიკად აღკრძალულია. მარიინის სასახლეში არსებობს „საგანგებო კომისია პეტროგრადის ევაკუაციისთვის", რომელიც უნებართოდ კარში არავის არ უშვებს. უფრო თავისუფლად გადიან ქალები, მოხუცნი და ბავშვები. თავს ინარჩუნებ მხოლოდ ავადმყოფობით თუ შეუძლიათ თავი დააღწიონ უბედურობით სავსე ქალაქს.

**მორწმუნე კომისრები**

პეტროგრადის კომისართა საბჭომ ისაკის ტაძარი პეტროგრადის კომუნის საკუთრებად გამოაცხადა და მის შესანახად 25 ათასი მანეთი გადასდო. ეს დადგენილება ძალაში შედის პირველ აპრილიდან.

**„რუსკ. ვედ" ის დახურვა**

ბეჭდვითი სიტყვის კომისარმა, ბორის საინკოვის წერილის მოთავსებისთვის (№ 44. კვირა 25 მარტი) დახურა გაზ. „რუსკია ვედომოსტი".

**სამხედრო საბჭოს შემადგენლობა**

გაზეთი „ეპერედ"-ი გვაუწყებს: სახალხო კომისრების საბჭოს დადგენილების თანახმად, უმაღლეს სამხედრო საბჭოში შედიან: ტროცკი, საბჭოს თავმჯდომარედ პოდვოისკი, საბჭოს წევრად სკლიანსკი და მეშონიხინი მათ მოადგილეებად.

**საგანგებო კომისარი ორჯონიკიძე**

მოსკოვი. აპრილის 12. (მარტის 30) სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო კომისარს ორჯონიკიძეს ევალება მოაწყოს სამხრეთ რაიონის დროებითი საგანგებო კომისარიატი, რომელიც გააერთიანებს ყირიმის, დონის და თერგის ოლქებს, შავ ზღვის გუბერნიას, შავ ზღვის ფლოტს და მთელ ჩრდილო კავკასიას ბაქომდე.

# უცხოეთი

### ესპანეთის მეფე

ესპანეთის მეფემ ტახტზე ასვლისას განაცხადა, რომ მას ჰსურს ყველა ერთან მშვიდობიანად ცხოვრება. ესპანეთი შემდეგში ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

**რაიხსტაგში**

რაიხსტაგის უკანასკნელ სხდომაზე დეპუტატმა შტრეზმინმა, ნაციონალ ლიბერალური პარტიის ლიდერმა, რუსეთთან ზავის შესახებ ლაპარაკის დროს, მოიწონა ის პირობები, რა პირობებითაც შეეკრა გერმანეთი რუსეთს. ორატორმა აღნიშნა, რომ ძველ რუსეთის აღდგენა დიდი საშინელება იქნებოდა გერმანეთისვის.

# გალფურის სიტყვა რუსეთის შესახებ

„რუსეთის რევოლუცია—უბედურებაა ცივილიზაციისათვის.

თვით ის ფაქტი, რომ რუსეთის რევოლუციამ იფეთქა ევროპის ომის დროს, მე გამოუსწორებელ უბედურებად მიმაჩნია ცივილიზაციისათვის. როგორც მრავალი სხვა ინგლისელი, მეც თვითმპყრობელობის რეჟიმის დამხობას და მის მაგიერ თავისუფალ წესწყობილებას მივესალმე. საუბედუროდ რევოლუცია მოხდა, მაშინ, როდესაც რუსეთი ომით მოიქანცა; რევოლუციის პოლიტიკური მხარეები მთლად განჰქრნენ. ლაშქარს და ფლოტს ზავი მოეწყურათ. არას ვიტყვი პატარა ეროვნებათა თავისუფლების და იმ სახელმწიფოს შესახებ, რომელსაც ჰსურს მთლად დაიმორჩილოს პატარა ეროვნებანი, რადგან რევოლუციის ომის დროს მოხდენა მე მიმაჩნია მეტად დამღუპველად.

**ლაშქრის აღდგენის შესახებ.**

რუსეთის მომავალს მე ოპტიმისტურად უყურებ. საფრანგეთის რევოლუცია დიდ სამხედრო ამბებთან ერთად მოხდა, მაგრამ მას ლაშქრის შედგენა მოჰყვა. საფრანგეთის ლაშქარს მთელი ევროპა აღტაცებაში მოჰყავდა. შეადარეთ ეს იმას რაც ხდებოდა რუსეთში რევოლუციის დაწყებიდან.

რევოლუციონერებმა მთლად მოშალეს ის აპარატი, რომლის საშუალებითაც რუსეთს შეეძლო ომის წარმოება. უკვე დიდი ხანია, რაც რუსეთის ლაშქარი აღარ ეხმარება რუმინეთის ლაშქარს, იმ ძლევამოსილს და იმ უბედურ ლაშქარს (ტაში), რომელიც ხელს უწყობდა რუსეთის და რუმინეთის დაცვას ცენტრალ სახელმწიფოთა შეტევისგან. მე სრულებით ეჭვი არ მეპარება ბოლშევიკების გულახდილ მოქმედებაში, მაგრამ ყველამ იცის თუ რას წარმოადგენდნენ ისინი სახელმწიფოსთვის რევოლუციის დაწყებიდანვე. ბოლშევიკები ეხლა თვითონვე აღვიარებენ, რომ მათ მიერ ცხოვრებაში გატარებული მეთოდები სრულიად აუძლურებენ ხალხს მაშინ, როდესაც მტერი რუსეთში შეტევას განაგრძობს. ეხლა მათ ჰსურთ რუსეთის ლაშქრის აღდგენა, ამაში მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ბოლშევიკები მიიღებენ ჩვენს დახმარებას. მაგრამ განა შეიძლება უცბად ახალ პარტიის შექმნა მაშინ, როდესაც ძველი მთლად მოდლილია? რუსეთმა ომიც რომ დაიწყოს, რევოლუციურ პროცესის სასურველად დაგვირგვინებას რამდენიმე წელიწადი მოუნდება.

# რადიო-ბიულეტენი

### აპრილის 11.

**ინგლისურ რადიო-სადგურიდან.** მოკავშირეებმა თავისი პოზიციები გაამაგრეს, გერმანელთა ყველა იერიშებს იგერიებენ. ამუნის და არასის რაიონში გერმანელები დიდათ დაზარალდნენ, გერმანელებს ძალიან აკლიათ გადასაზიდი საშუალებანი. მოკავშირეებმა სტრატეგიულად უკან დაიხიეს, რათა მტერს საკუთარ ბაზებზე და საწყობებზე დაშორებულს უხდებოდეს ბრძოლა და ჩვენ გაგვეიადვილდეს ჩვენ მიერ დაპყრობილ ადგილების შენარჩუნება. ჩვენ ხელში ჩაგვივარდა გერმანული ბრძანება, რომელიც ჯარს აცნობდა ამუნის და ლაგარონ..ონის აღებას და 25,000 ინგლისელთა ტყვედ წაყვანას. ეხლა აქ ბრძოლა სწარმოებს. ჩვენ ვცდილობთ მტერს არაფერი ჩაუვარდეს ხელში, ის კი, რაც მტერს ჩაუვარდა ხელში მისთვის თითქმის სრულიად უსარგებლოა. მიუხედავად გერმანელთა ახალი გადაჯგუფებისა და ჩვენ მიერ მიტოვებულ პოზიციების შესანარჩუნებლად ჩალიშისა მათ შესძლეს ინგლისელთა კონტრ-შეტევის შეჩერება. მოწინავდმდეგე სცდილობდა ბელგიელებისათვის შეეტანა ბიქსხოტესა და პაშენდალის არხის მიდამოებში, მაგრამ დამარცხდა, რადგანაც ბელგიელები თავგამოდებით შეებრძოლნენ მათზე მრავალ-რიცხოვან გერმანელთა ჯარს. აქ ძლიერი ხელჩართული ბრძოლა მოხდა, რამაც გერმანელები დიდად დააზარალა, უფრო სამხრეთით ფრანგ-ინგლისელებმა გაიმარჯვეს, გერმანელ-ავსტრიელთა ჯარს უკან დახევინა და მოქმედების უნარი დაუკარგა. გერმანელებსა და ავსტრიელებს საქონელი და იარაღი წვრილი რუსული ცხენებით შებმულ ურმებით გადააქვთ. ტყვეები ამბობენ, რომ გადაზიდვის საქმე გერმანელებს ძალიან ეძნელებათ და გერმანელი ოფიცრები იძულებულნი არიან ჯოხებით იარონ.

**ბერლინი. ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი.** მდ. ლისისა და სომის ბრძოლის ველზე სამხედრო მოქმედება გრძელდება. ჩრდილოეთის მიმართულებით ბრძოლა განელდა. ბაილის ჩრდილო-აღმოსავლეთით იერიში მოვიტანეთ ოლეიგელპოკის მაღლობზე; აქ რამდენიმე ფრანგი წამოვიყვანეთ ტყვედ. ბაილის დასავლეთით ინგლისელთა იერიში მოვიგერიეთ, მტრის ძლიერი იერიშები ბეიტუნის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენს მოწინავე პოზიციებზე მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტს ბევრ ალაგას ბრძოლა გრძელდებოდა, ტყვეები წამოვიყვანეთ. ინგლისურ ცნობებით როტმისტრი ვჰონ-რიტ-ჰოფენი მოკლულია.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ფინლიანდიის ჩვენმა ჯარმა გენ. გრაფ ფონ-დერ-ჰოლცის უფროსობით დაიპყრო რკინის გზის კვანძები ჰივინგთან, რუპიმიაკთან და ლავპტის ჩრდილოეთით და ფინლიანდიაში.

# ქრონიკა

## თბილისი.

◆ **ხმები ოსმალეთის დელეგაციის შესახებ.** გაზეთებში მოთავსებული ცნობა, რომ აპრილის 13-ს ღამე თბილისში ვითომ ოსმალეთის საზავო დელეგაცია ჩამოსულიყოს, სიმართლეს მოკლებულია. ოსმალეთის დელეგაციის ჩამოსვლა თბილისში სრულიად არ არის მოსალოდნელი.

◆ **ჯავშნიანი მატარებელი განჯისთვის.** ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს უფროსი სთხოვს მთავრობას, რომ თანახმად განკარგულებისა დაუყოვნებლივ გაგზავნონ განჯაში ჯავშნიანი მატარებელი.

◆ **შეტაკება ბაღდადში.** სოფ. ბაღდადში (ქუთ. მაზ.) მაჰმადიანთა და ქართველთა შორის შეტაკება მოხდა. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. ქუთაისში 20 დაჭრილი მოიყვანეს.

◆ **განჯის გუბერნიის კომისარი** მთავრობას დეპეშით აცნობებს, რომ განკარგულება გასცა ყველა სამაზრო კომისარებს ფოსტის დაცვის გაძლიერების შესახებ.

◆ **შრომის ბირჟის გაუქმება.** რადგანაც აღიძრა საკითხი საოლქო შრომის ბირჟის გაუქმების შესახებ, შრომის სამინისტრომ ბირჟის გამგეს წინადადება მისცა ერთი კვირის განმავლობაში წარუდგინოს შრომის ბირჟის მოქმედების ანგარიში, რათა შესაძლებელი იყოს გადასწყდეს საჭიროა თუ არა ბირჟის არსებობა.

◆ **ერ.-დემ. სტუდენტების კრება** დანიშნულია კვირას, შუადღის 12 საათზე, მთავარ კომიტეტის ბინაზე. დასწრება წევრებისა სავალდებულოა.

◆ **თბილისის ქალაქის თვითმართველობამ** მთავრობას 10 მილიონი მანეთი სთხოვა უპროცენტო სესხის სახით 3 წლის ვადით ქალაქის სასურსათო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. შუამდგომლობა განსახილველად სასურსათო სამინისტროს გადაეცა.

◆ **ამიერკავკასიის მთავრობამ** წინადადება მისცა ქალაქის გამგეობის ბინის განყოფილებას განკარგულება გასცეს, რომ შეაჩერონ ფრანგულ ფირმის „რალლესა და ამხ."-ის მიერ დაკავებული ბინის რეკვიზიცია. ამასთანავე მთავრობამ განმარტა, რომ საფრანგეთის მოქალაქეთა ბინის რეკვიზიცია შეუძლებელია რუსეთსა და საფრანგეთის შორის 1817 წელს დადებულ კონვენციის ძალით. ეს კონვენცია ძალას არა ჰკარგავს ვიდრე სეიმი ამის საწინააღმდეგო დადგენილებას არ გამოიტანს.

◆ **პროექტი მომრიგებელ სასამართლოებს.** მთავრობას წარედგინა ქალაქის თვითმართველობის მიერ შემუშავებული პროექტი ქალაქის მომრიგებელ სასამართლოების შესახებ. წინად განზრახული იყო მთელი ქალაქის 25 ნაწილად დაყოფა ეროვნულის პრინციპით. ქალაქის თვითმართველობამ და იურიდიულმა კომისიამ ეს შეუძლებლად სცნო, რადგანაც ნამდვილი სტატისტიკური ცნობები არ მოგვეპოვება და ამას გარდა მცხოვრებნი ქალაქის ნაწილიდან მეორეში გადადიან. პროექტის მიხედვით ქალაქი უნდა დაიყოს 5 დიდ რაიონად. თითოეულში უნდა დაინიშნოს ერთ-ერთი ადგილობრივი ენის მცოდნე მოსამართლე.

◆ **ერეკლე მეორის გასამართლება.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 14 აპრილს, საღამოს, ქართულ კლუბში გაიმართება მეფე ერეკლე მეორეს გასამართლება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: გ. ქურული, ივანე გომართელი, მოსე ჯანაშვილი, ექ. თაყაიშვილი, ივ. ჩერქეზიშვილი, პ. ქავთარაძე, ირაკლი ამირეჯიბი, გრ. ვეშაპელი, შალვა დადიანი, ვალ. გუნია, დ. კარიჭაშვილი, გრ. რობაქიძე, რ. გაბაშვილი, იპ. ვართაგავა, რ. ინგილო, პ. ინგოროყვა, გ. ქიქოძე, დ. კასრაძე, კ. მაყაშვილი, დ. ჯავახიშვილი, მ. ხერხეულიძე და აგრეთვე დამსწრე საზოგადოებიდან.

◆ კვირას, 15 აპრილს, მომხმარებელ საზოგ. „ალორძინების" კანტორაში (ვერის დაღმართზე) დანიშნულია თბილისის ყველა კოოპერატივებში მოსამსახურეთა კრება.

განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ორგანიზაციური კომისიისა, 2) კოოპერატიულ სექციის ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება, 3) ბიუროს ამორჩევა, 4) კოლლექტიური ხელშეკრულობა, 5) ურთიერთ დამხმარებელი კასსა და მიმდინარე საკითხები.

◆ **ქართველ მოხელეთა კავშირში.** სრულიად საქართველოს ქართველ მოხელეთა კავშირის საბჭო უკვე შეუდგა მუშაობას საქართველოს სხვა დაბა-ქალაქების კავშირის განყოფილებების მოსაწყობად. ამ მიზნის განსახორციელებლად ჯერ-ჯერობით ქუთაისში მიჰმართა დეპეშით ივ. ფხაკაძეს, კონ. გოცირიძეს და აბულაძეს, რომ აპრილის 15 მოიწვიონ ადგილობრივ დაწესებულებებში ქართველ მოხელეთა კრება. ამ კრებაზე დასასწრებლად და საქმის მოსაწესრიგებლად გაგზავნა ვალ. ბაქრაძე და გიორგი ჯაფარიძე.

### სამტრედიაში

◆ **ქალაქის თვითმართველობის განკარგულება.** ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსმა გზათა მიმოსვლის მინისტრს დეპეშით შეატყობინა, რომ სამტრედიის ქალაქის თვითმართველობამ რკინის გზის ადმინისტრაციის უცოდნელად რკინის გზის მოსამსახურეებს ბინა დააცლევინა. რამდენიმე მოსამსახურემ ანგარიში მოითხოვა. რკინის გზის უფროსი სთხოვს მინისტრს განკარგულება გასცეს, რომ მოსამსახურეებს ბინები დაუბრუნონ.

# ბათუმში.

ბათუმში ჩვენი ჯარების გამოსვლის შემდეგ ქალაქში შემოვიდა ძლიერ მცირე რიცხვიანი ოსმალთა ჯარი. ქალაქში შემოსვლისთანავე ქალაქის კომენდანტმა ქიაზიმბეიმ გამოსცა ბრძანება, რომ:

1) დახვრეტის შიშით ჯარის კაცებმა ხელი არ ახლონ მშვიდობიან მცხოვრებს.

2) რომ არაფრის გზით დარბეული არ იქნეს კერძო ოჯახები და სავაჭროები.

3) რომ ქალაქის აღების მეორე დღეს დაუყონებლივ იქნეს გახსნილი, თეატრები, სინემატოგრაფები, სავაჭროები და დაწესებულებები.

4. ორი დღის განმავლობაში კომენდანტთან უნდა გამოცხადდენ ყველა დემოკრატიული ორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრები. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მონახული იქნებიან.

5) რომ ქალაქში შემოსული არ იქნას არც ერთი აჭარელი.

ქალაქში შემოსული ოსმალთა ჯარი საზარელი სანახავი იყო: ჩამოხეული, ფეხშიშველი, ისინი მწყობრათ შემოსულან ქალაქში. მცხოვრებთათვის არავითარი ზიანი არ მიუყენებიათ. შემოსვლის მეორე დღეს ოსმალებმა ჩვენს ფულს დაარტყეს თავისი ბეჭედი და ყველა ვალდებულია წარადგინოს რაც ფული აქვს ბეჭდის დასარტყმელად. ისე ფულს გასავალი არა აქვს.

# ჩრდილო კავკასიაში

### თურქეს მთავრობა და ამიერ-კავკასია.

კავკავი. აპრილის 11. სახალხო საბჭოში აღიძრა საკითხი იმის შესახებ თუ რა დამოკიდებულება უნდა იქონიოს თერგის კომისარიატმა ამიერ-კავკასიის მთავრობასთან. 4 დღის წინ ამ საკითხის განხილვა გადადებულ იქმნა, იმის გამო, რადგან არ ჰქონდათ დაწვრილებითი ცნობები ამიერ

# ჩემს ერს

ეჰა, ეს რა ამბავია,
სადა გძინავს ჩემო ერო?
ხალხთა შორის რჩეულო და
მუდამ სულით მშვენიერო.
თითქოს შენი მწარე ბედი
აწრთვეი და გამოჰკვერე,
შენს სამშობლოს ლამაზ გულ-მკერდს
ზედ ასე არ დააწერე:
„შორს მონობა თავხედური,
შორს მჩაგვრელი და მის ძალა;
გვეყო, გვეყო რაც ვიტანჯეთ
და რაც შევსვით ჩვენ სამსალა!
თუ სადმე ბორკილები
დაიმსხვრეს და გაცამტვერდეს,
მზე ყველასთვის ამოვიდეს
და სუყველა მზეს უმზერდეს".
დღეს კი აბა ამის ნაცვლად
რასა ჰხედავს სხვათა ერი:
თვით მკვლელობის სისხლში ჰცურავს
და დაგცინის მწარედ მტერი.
ირგვლივ ჯოჯოხეთი გაჩრჩობს,
ირგვლივ ცეცხლის ბურთი გლუნავს,
შენს წვასა და წამებაზე
თვით ღმერთიც კი არას ჰზრუნავს.
ძმა ძმის მოკვლას შესდგომია
და მხეცურად დახითხითებს,
ძმის ქოჩორზე იწმენდს ხელებს,
სისხლით შეთხვრილ რკინის თითებს...
ზიზღი ამისთანა გმირებს,
ზიზღი, ზიზღი უხეშ ძალას,
სამარცხვინო ბოძზე გაკვრა
მძარცველსა და მაწანწალას.
ის, ვინც მკვდართა შესაჭმელად
ძაღლებს ძალად იმობილებს,
არ იცის, რომ იწილადებს
მათ დაგეშილ სუნს და კბილებს?!
გულახდილად ჩემო ძმებო,
გინდ მსხვერპლადაც გამიხადოთ,
ფუ, იმ ერის ... ...
ვინც პირბადე არ აგხადოთ.
თუნდ შეცდომა გაისწოროთ
და დაიწვათ როგორც ცვილი,
ვერას დროს ვერ მოირეცხოთ
ეს ჩირქი და ეს სირცხვილი.
მხეცო, დეუბას ნორჩი შვილი
გულ-მკერდზე რომ დააკალი,
გგონია შენ სამშობლოს წინ
მოიხადე დიდი ვალი?!
თუ ოდესმე იყო ვინმე
ან წამხდარი, ან ორგული,
ახლა აქ რა შუაშია
მომავალთა ნორჩი გული?!
არ იცით რა საჭიროა
დღეს ერისთვის თუნდაც ბდარი?
მასში უნდა აღიზარდოს
მომავალი მეომარი.
მეომარი იდეური,
განა მარტო სისხლის მღვრელი,
დღეს რომ ასე ილებება
თქვენგან ურცხვად მთა და ველი.
ეჰა, ეს რა ამბავია
ჩემო ერო, გმირთა გმირო,
აქამდისინ მშვენიერო
დღეს კი მწარედ დასატირო?!
მაგრამ არა! ვცდები სწორედ!
ცა კვლავ დრუბლებს მოიშორებს,
მთელ ერს ზოგი მავნე სული
როგორ გაითანასწორებს?
ჩემს ერს ვერას დააკლებენ
მითქმა-მოთქმით სხვა ენები,
თავეჰს თავად დაიხრჩობენ
იუდა და კაენები.

შიო მღვიმელი.

კავკასიის პოლიტიკურ ვითარების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭომ განაცხადა, რომ იგი გაგზავნის თავის წარმომადგენლებს თბილისში იმის შესატყობად თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ხალხს თავის მთავრობასთან. საბჭოს წარმომადგენლები თბილისკენ ჯერ არ გამომგზავრებულან.

ახალი მთავრობა.

კაზბეკი. აპრილის 11. ამ სამი დღის წინ მოხდა თერგის სახალხო კომისართა საბჭოს ხელახალი არჩევნები. ხსენებულ საბჭოში არჩეულ იქმნა დროებით ჩეჩენთა დელეგაციის ჩამოსვლამდე. თავმჯდომარედ დარჩა ბუაჩიძე (ბოლშევიკი), სამხედრო კომისრად — ბუტირინი (მენშევიკი) მუშა, შინაგან საქმეთა — ფიგატნერი (ბოლშევიკი), შრომისა და მრეწველობის კომისრის ბოლდაანოვის მაგიერ არჩეული სტოპანი — ბაქოს ცნობილი მუშა (მენშევიკი).

## ვადის გაგრძელება და სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება

სამხედრო მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა გამოსცა ბრძანება: ყველა იმ შუამდგომლობათა განსახილველად, რომლებიც შეეხებიან ამა თუ იმ პირთა სრულს ანდა პირობით სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებას ვბრძანებ, რომ შესდგეს საგანგებო კომისია კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის შტაბთან. კომისიაში უნდა შევიდნენ ამ შტაბის სადემობილიზაციო გამგეობის უფროსი — თავმჯდომარედ, ხოლო წევრებად: ერთი თბილისის ადგილობრივ ბრიგადის გამგეობიდან, ერთი თბილისის გუბერნიის სამხედრო საკრებულოდან და ერთიც ამიერ-კავკასიის მთავრობის კანცელარიის მოხელე. ხსენებული კომისია ეხლავ შეუდგეს საქმეს კავკასიის ფრონტის მთავარ-სარდლის შტაბის სადემობილიზაციო გამგეობაში.

## † გრ. ჩიქოვანი და სარიშვილი

აჯიქაბულში ბოლშევიკებთან ბრძოლამ ორი ძვირფასი ამხანაგი შეიწირა: ჩიქოვანი და სარიშვილი. პირველი წარსულ წელს ერ.-დემოკრატ სტუდენტთა და მოწაფეთა კონფერენციაზე გავიცანი. მეტად დაკვირვებული და, შედარებით, მშვენივრად მომზადებული პარტიული მუშაკი იყო. მის ყოველ სიტყვას თავისებური ელფერი ედო. მისი გული ხომ გრძნობიერების ბუდე იყო,—იშვიათი იყო იმ დღიდან მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ის წამი, როდესაც მისგან რაიმე ასწრაფებულ-გასაჯავრებელი სიტყვა მოგესმინათ. ის შეგნებით და გრძნობით ემსახურებოდა პარტიულ ეროვნულ საქმეს, ამისთვის მას ამ „რევოლიუციონურ ხანაში“ ჰხვდება კიდეც ერთხელ დატუსაღება, მაგრამ ამას არაფრად აგდებდა და უფრო მეტის ენერგიით მოქმედებდა. იგი თავის ამხანაგებთან ერთად ჩამოვიდა ქუთაისიდან და ჩაეწერა ქართულ ლაშქარში, რომელიც ამას წინად ბაქოში იქმნა გაგზავნილი ბოლშევიკების წინააღმდეგ...

სარიშვილიც მისი ამხანაგი იყო. ამას კარგად ვერ ვიცნობდი, მაგრამ ერთის შეხვედრითაც ეტყობოდა, რომ სამშობლოს სიყვარული მისი უპირველესი დევიზი იყო. იგი გამბედავისა და ცეცხლის მფრქვეველი თვალებით გამოიყურებოდა და ეტყობოდა უპირველოდ არავის დაუთმობდა შეურაცყოფას... ორივე ერთად ძვირფასნი იყვნენ ჩვენთვის, როგორც ახალგაზრდა ქართველნი და ძვირფასობა უფრო ძლიერდება იმითი, რომ სამშობლოს კარზე მომდგარ მტრების წინ დალიეს თავისი ახალგაზრდული სული.

ამხანაგები არ დაივიწყებენ მათ, თუმცა ძალა უნებურად მოუხდათ ბრძოლის ველზე დატოვება,—და ვინ იცის უსულო გვამებმა რა დაცინვა და წამება მიიღეს... მარადის სამახსოვრო იქნება მათი სახელი, როგორც ძვირფასი მეგობრებისა.

მ. ხერხეულიძე.

## კორესპონდენცია

### ახრისიდან

აპრილის 4-ს სოფელ ახრისში მეტად შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. ღამე გახულიგანებული შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა 65 წლის მოხუცის მაქრო ყანჩელის ოჯახს. ატეხეს სროლა. შეამტვრიეს კარი. თავზარდაცემულმა შვილებმა კოტემ, ერეკლემ, თამარმა, ტასიამ და ერთმა მათთან შეხიზნულმა ობოლ-ოხერმა 10 წლის გოგომ მოახერხეს მეზობლებში დამალვა. მოხუცმა მაქრომ ეს ვერ მოახერხა. ავაზაკებმა იგი დაიჭირეს, გამოიყვანეს სახლის კარზე, სცემეს, აწვალეს და თან ეკითხებოდნენ: გვიჩვენე შენი შვილები კოტე და ირაკლი უნდა დავხვრიტოთო. საწყალ მოხუცს შეამტვრიეს ხელები, ფეხები, დაუსახიჩრეს თავპირი, შემდეგ წააქციეს და დახვრიტეს. ასეთივე წამებით მოკლეს მისი სახლისკაცი 16 წლის ყმაწვილი ირაკლი მიხეილის ძე ყანჩელი, აწამეს მისი დედა ელისაბედ ყანჩელისა, რომელიც უბან-უბან ატარეს ფარნით და სახლიდან გავარდნილი შვილი ქორ-ქოკა აძებნინეს. ბრბოს თავგასულობას აქაც არ დაედვა საზღვარი: შეუცვივდნენ სოფრონ ვლადიმერისძე ყანჩელს და დახვრიტეს. დანარჩენი თავზარდაცემული აზნაურები იმ ღამესვე გორში ჩამოცვივდნენ. ერთი დამცემელთაგანი მეორე დღესვე გაქცეულა სოფელ მეჯვრისხევში, რომელიც ახრისზე მხოლოდ ერთი ვერსით არის დაშორებული, ეცნობებია წითელგვარდიელებისთვის, რომ ვითომც, წუხელის ოსები დაესხნენ და ხალხი დახოცესო. სოფლის შეგნებულმა პირებმა აცნობეს ეს საზარელი ამბავი გორის მაზრის კომისარს ქარცივაძეს, რომელმაც შესაფერისი ზომები მიიღო: გაგზავნა მილიციის უფროსი არჯევანიძე და ამ უკანასკნელმა გვარდიელების (გურულების) დახმარებით შეიპყრა დამნაშავენი.

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ რამდენიმე იმ დამნაშავეთაგანი, რომლებიც ეხლა ციხეში სხედან დიდი ხნის ცნობილი ავაზაკები არიან. მათ სოფელს იქამდის მოაბეზრეს თავი, რომ სოფლელებმა განაჩენიც კი შეუდგინეს გადასახლების შესახებ. სოფლელებმა ხსენებული ავაზაკები დაჭერილები აუყვანეს ადგილობრივ კომისარს, მაგრამ ისინი ისევ გაუშვეს. ამის შემდეგ მათ, გორის კომისარიატიდან დატაცებულ იარაღით, თავისუფლად იწყეს თარეში. საუბედუროდ ჩვენი სოფელი უპატრონოდ არის მიგდებული, თორემ ის პირები, რომელთაც თვით სოფელი სცნობდა დამნაშავეთ, დროზე რომ მოეკლათ ალარ დაატრიალებდნენ ისეთ უბედურებას, რომლის გამო სოფლის ყველა შეგნებული პირი ღრმად დამწუხრებულია.

ახრისელი.

—

ს. კახი. (ზაქათალის ოლქი). სოფელი კახი ყველაზე დიდია ზაქათალის ოლქში, სადაც ცხოვრობენ მართლმადიდებელი ინგილოები. ორასი კომლის თათრების გარდა ქრისტიანები ხუთას კომლამდე არიან. დიდ გაჭირებაში არიან ამ ჟამად აქ ქრისტიანები, მეზობელი თათრები განუწყვეტლივ აწუხებენ და სტაცებენ საქონელს და სანოვაგეს. მგზავრებსაც ართმევენ ყველაფერს. საშიშია ძალიან მოგზაურობა. 15, 16 და 17 მარტს დიდი მოძრაობა იყო აქ კახში. ყუმიდან (თათრის სოფლიდან) დიდ ძალი ხალხი მოვიდა შეიარაღებული. ხმა გავარდა, უნდა ბაზარს დაეცნენ და აიკლონ სომხებიო. მეორე მხრიდამაც მოვიდა თათრის სოფლიდან შეიარაღებული ხალხი, ეს ამბავი იმით გათავდა, რომ გადააყენეს კახის საზოგადოების კომისარი ზამან-ბეგი და დანიშნეს კახის კომისრად ყუმელი ყურმან იუზბაში. ეს ამბავი გააგებინეს ზაქათალის ოლქის კომისარს ეპასაი ეფენდის, რომელიც მოვიდა ზაქათალიდან და ცოტა დაამშვიდა ხალხი, აუხსნა შეკრებილ ხალხს, რომ არ შეიძლება ერთმანეთის დევნა—დარბევა, რუსეთში ბევრი სჯულის და მოდგმის ხალხი ცხოვრობსო და ერთმანეთს არაფერს უშლიანო, რომ გაიგონ, თათრები აწუხებენ, არბევენ ქრისტიანებს ჩვენს ოლქში, ეს ჩვენთვის—თათრებისთვის, სირცხვილი იქნებაო, ამით ჩვენ თავს ვამცირებთო. ამან დააყენა საზოგადოების კომისრათ ისევ ძველი კომისარი. არც ინგილოები იქცევიან კარგად, ხშირად უწვავენ ერთმანეთის სახლებს, არის ისეთი შემთხვევა, რო ერთმანეთს ჰხოცავენ ჩუმად ღამე. პატრონი, რომ დაიფაროს ხალხი დარბევისაგან, ან სწორე გზაზე დააყენოს წესიერად იცხოვრონ, ადარავინ არის. ორკლასიან სასწავლებელში ცოტა ხან იყო სწავლა, იძახეს ნაციონალიზაცია მოვახდინოთო და ვერც ეს მოახერხდა, რადგანაც თათრების და ქართველების ბავშვები ერთათ სწავლობდნენ. ბოლოს სულ შესწყვიტეს. ერთკლასიანი სასწავლებელი არის ქალებისა, სადაც სულ ქართველები სწავლობენ, მაგრამ აქაც არ ინებეს სკოლის ნაციონალიზაცია, ისევ ძველებურად აწუხებენ ბავშვებს რუსულის სწავლით.

თუ არ იქნა და ბოლო არ მოეღო ამ არევ-დარევას, ძალიან გაჭირდება ცხოვრება.

მაყურებელი.


## ქართული კლუბი

ოთხშაბათს, 16 აპრილს, 1918 წ. ქართველ მსახიობთა მიერ გ. გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა

# ურიელ აკოსტა

ტრაგ. 5 მოქ. თარგ. დ. მაჩაბლისა.

მონაწილეობენ ქალნი: კავთელი ა., ჯავახიშვილი ნ. ვაჟნი: გუნია გ., გედევანოვი გ. იმედაძე ს., ქიქოძე ს., მაჭავარიძე ვ., კობახიძე ი., ფრანგიშვილი პ., შანშიაშვილი ალ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე ✦ ✦ ბილეთები იყიდება.

2—947—1

## ქართული კლუბი

დღეს, შაბათს 14 აპრილს, გაიმართება

# ერეკლე მე-II-ს გასამართლება

სასამართლოს თავმჯდომარე: ვ. ჟურული.

ბრალმდებელნი: 1. მოსე ჯანაშვილი. 2. ირაკლი ამირეჯიბი.

დამცველნი: 1. ივანე გომართელი. 2. გრიგოლ ვეშაპელი.

ერეკლე მეორე—შალვა დადიანი.

ნაფიცნი მსაჯულნი:

| | |
|---|---|
| ვალ. გუნია. | გრ. რობაქიძე. |
| რ. გაბაშვილი. | ივ. ვართაგავა. |
| დ. კარიჭაშვილი. | გ. ქიქოძე. |
| რ. ინგილო. | კ. მაყაშვილი. |
| ე. თაყაიშვილი. | დ. კასრაძე. |
| პ. ინგოროყვა. | დ. ჯავახიშვილი. |

სასამართლოს მდივანი: მ. ხერხეულიძე.

საზოგადოებიდან გასამართლებაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა წინასწარ უნდა განუცხადონ სასამართლოს მდივანს.

დასაწყისი საღამოს ზუსტ 8 საათზე. ✦ ბილეთები იყიდება კასაში.

1—1

## ქართული დრამატიული საზოგადოება

ყველა იმათ, ვინც ჩაეწერნენ ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახალ დასში, განურჩევლად იმისა მიიღეს თუ არა დასაპატიჟებელი ბარათები, ვთხოვთ მობრძანდნენ ზუბალაშვილის სახალხო სახლის თეატრში, შაბათს, 14 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე. ვინც ამ დროისთვის არ გამოცხადდება, იმათ გამოსაცდელი წარმოდგენა არ დაენიშნებათ.

ქართულ დრამატიული საზოგადოების გამგეობა.

2—946—2

## ქართული კლუბი

კვირას, 15 აპრილს 1918 წ.

სადღესასწაულო ვ. ა. აბაშიძის წარმოდგენა

| 40 წლ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად |

გაიმართება ორი წარმოდგენა

| დილით | საღამოთი |
|---|---|
| პეპო | ნამუსისათვის |
| კომედ. 2 მოქ. გ. სუნდუკიანცისა. | პიესა 4 მოქ. შირვანზადესი. |

მონაწილეობენ ძველი და ახალგაზრდა მსახიობნი.

პიესებს სდგამენ ა. წუწუნავა და კ. შათირიშვილი.

ბილეთები იყიდება. 6—943—4

## ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

ახალი წიგნი

გრიგოლ ვეშაპელი.

# საქართველო და რუსეთი

საქართველოს ისტორიული საზღვრების რუკით.

ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.

წიგნი იყიდება: „საქართველოს“ კანტორაში და კიკნაძის „ნოვაია რეჩის“ წიგნის მაღაზიაში.

მომხმარებელ საზოგადოების

# „დახმარების“

გამგეობა აცნობებს საზოგადოების წევრებს, რომ თანახმად 4 აპრილის საზოგადო კრების დადგენილებისა კოოპერატივი „დახმარება“ შეუერთდა

## კოოპერატივ „ივერიას“

და გაერთიანებული კოოპერატივი მოქმედებას დაიწყებს 15 აპრილიდან.

მთავარი მაღაზია მოთავსებული იქნება ერევნის მოედანზე, ყოფილ ძმ. ფორაქიშვილების მაღაზიაში, ხოლო განყოფილება— ოლღას ქუჩაზე,—იქ, სადაც დღეს იმყოფება „დახმარება“.

საზოგადო კრების დადგენილებით თითო წევრმა უნდა გადიხადოს 5 მ. საწევრო ფული და 50 მ. საპაიო გადასახადი. წინად შეტანილი ფული ჩაითვლება ამ თანხაში, ისე რომ ვისაც გადახდილი აქვს 18 მანეთი, უნდა სასწრაფოდ შემოიტანოს დანარჩენი 42 მანეთი.

ფულის შეტანა და წევრად ჩაწერა შეიძლება დღეიდან ორივე ზემოხსენებულს მაღაზიაში. აგრეთვე: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ([illegible]) და გაზეთ „საქართველოს“ კანტორაში.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

## სამკურნალო

ყოვლგვარ ავადმყოფთათვის

ექიმ ე. ვ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეთიანის

სავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნის“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 საათ.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება— საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეთი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

## კაკალიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნებით) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვებისათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „[illegible]“ ტელეფონი 14—28.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოზის ძე

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი სარ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს დილით 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

ექიმი

## გ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამხ. ... შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა, სისხლის სნეულებათა სპეციალისტი იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბო-მონდის“ პირდაპირ.

—1018—2

ექიმი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგანი სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაკოვის ქ. № 11.

—1536—1

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

## ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, [illegible].

ტელეფონი 14—37

1ო—960—3


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა გაზაფხულის შესახვევი № 4.